ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1910162

ნომერი: AR1310077

თარიღი : 14.05.2015

გაცემის თარიღი : 21.05.2015

გაცნობის თარიღი : 22.05.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა პურის მოედანი , N 1 / ქალაქი თბილისი , ქუჩა პურის მოედანი , N 2 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მიმოზა ჩაჩავა პ/ნ 01015021740
- თბილისი პურის მოედ. ქ. N 1

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი AR1310077 განაცხადი, რომლითაც ითხოვთ ინფორმაციას ქალაქ თბილისში, ქუჩა პურის მოედანი N 1; N 2; (საკ. კოდი 01.18.03.053.008) არქიტექტურული პროექტის კორექტირებასთან დაკავშირებით.

პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურის 2011 წლის 11 მაისს შპს ალიანს-ჯი-ს სასარგებლოდ არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემულია მშენებლობის ნებართვა ქ. თბილისში, პურის მოედანი #1 და #2-ში (სანებართვო

მოწმობა #ნ/1056-1) მდებარე მიწის ნაკვეთზე.
აღნიშნული ნებართვის მოქმედების ვადა გაგრძელებულდა არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 21 აგვისტოს #313642 ბრძანებით, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 05 მარტის #4/25 ბრძანებითა და 2015 წლის 05 მარტის #4/56
ბრძანებით. მშენებლობის ნებართვის ვადა იწურება 2015 წლის 31 დეკემბერს.

ამასთან გაცნობებთ, რომ 2015 წლის 24 აპრილს # AR1303320 ელექტრონული განცხადებით სამსახურს მომართა მოქალაქე ავთანდილს ნაცვლიშვილმა და მოითხოვა ზემოაღნიშნულ მისამართზე შეტანილ იქნეს ცვლილებები ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურის
მიერ 2011 წლის 11 მაისს #01/985 ბრძანებით დამტკიცებულ რეკონსტრუქცია-ადაპტაციის პროექტში თანდართული კორექტირებული პროექტების შესაბამისად.

ატვირთული დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად სამსახურის მიერ მასში გამოვლინდა გარკვეული სახის ხარვეზები, რის გამოც ამ ეტაპზე აღნიშნული ნებართვის გაცემა არ მომხდარა. თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით და ობიექტზე
ადმინისტრაციული წარმოების განახლების და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.

ასევე გაცნობებთ, რომ სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახური 2012 წლიდან დოკუმენტბრუნვას აწარმოებს ელექტრონული სახით, შესაბამისად სამსახურის მიერ 2012-2015 წლების ინფორმაცია გამოტანილია ვებ–გვერდზე (tas.ge) და არის საჯარო.
ნებისმიერი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ობიექტების ფენის ჩართვის და დაინტერესებაში არსებული ობიექტის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.